პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ჟილიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) სენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ხალხის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი
10
ივლისი
1934 წ
№ 158 (4014)

დღეს ნომერში

— ამხ. გიორგი დიმიტროვი გათომში.
— აჯანყება მანჯოუშოს ჯარებში.
— ბრძოლა ტელმანის განთავისუფლებისათვის
— გერმანიის მოსახლეობაში დიდი მღელვარებაა სასურსათო კრიზისთან დაკავშირებით.
— მოციერიშეები კომუნისტების მხარეზე გადადიან
— იაპონიის კაბინეტის ახალი შემადგენლობა
— ამსტერდამში გრძელდება ბრძოლა გაფიცულ მუშებს და პოლიციას შორის.

ერევნული ბიბლიოთეკა

ს. ს. რ. კავშირის საბჭოების მე-7 ყრილობის მოწვევის და ყრილობის დღის წყარიგის შესახებ

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწვეულ იქნას ს. ს. რ. კავშირის საბჭოების მე-7 ყრილობა 1935 წლის 15 იანვარს ქ. მოსკოვში.
2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:
   1. ს.ს.რ. კავშირის მთავრობის ანგარიში.
   2. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის საანგარიშო მოხსენება.
   3. მეცხოველეობის განმტკიცების და განვითარების ოთხწლიანი გეგმის შესახებ.
   4. მოხსენება საკონსტიტუციო საკითხებზე.
   5. ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შედგენა—საკავშირო საბჭოს წევრთა არჩევნები და ეროვნებათა საბჭოს წევრთა დამტკიცება.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. კალინინი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი **ა. მედვედევი.**

მოსკოვი კრემლი.
1934 წლის ივლისი

არც ერთი პოლმეურნეობა, რომელსაც არ ექნება სასაქონლო ფერმა

ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ, როცა სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებაში პირველი ნაბიჯები იდგმებოდა, მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი უველა პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების ყურადღებას მიქცევდენ იმ გარემოებას, რომ ს. კოლმეურნეო ფერმების სახით ნაპოვნია განსაზოგადოებული მეცხოველეობის შექმნის ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე უფრო შეეფერება საკოლმეურნეო წარმოების საარტელო სტადიას. საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებმა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებთან ერთად უნდა გადაჭრას მსხვილი სასაქონლო მეცხოველეობის შექმნის ამოცანა ამით პარტია ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრაში მხოლოდ ერთი გზაა — სოციალისტური გზა.

უმნიშვნელოვანეს ეტაპს მეცხოველეობის განვითარებაში, მთელი სოციალის მეურნეობის შემდეგომ აღმავლობაში წარმოადგენს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ პლენუმზე დაამუშავა მეცხოველეობის გაუმჯობესების და განვითარების პროგრამა, მან მთელი პარტიის წინაშე, უველა პატრიოსანი კოლმეურნის წინაშე დასახა დიდი პრაქტიკული ამოცანები ამ დარგში. მეცხოველეობის განვითარების საკითხები, რომლებზედაც მთელი სიმწვავით ლაპარაკობდა ამხ. სტალინი პარტიის მე-17 ყრილობაზე, გადაიქცენ საყოველთაო სახალხო უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმედ.

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის წერილი „მეცხოველეობის განვითარების შესახებ“, რომელიც „პრავდის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა, დაწვრილებით აშუქებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს მეცხოველეობის გაუმჯობესების და განვითარების შესახებ, მიუთითებს იმ უდიდეს ამოცანებზე, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს ამ დარგში. ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა ორგანიზაციის წინაშე, თვითეული კოლმეურნის და თვითეული მშრომელი ერთპიროვნული მეურნის წინაშე.

ამ დოკუმენტს უნდა გაეცნონ კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა ფართო მასები, სოფლის უველა კომუნისტი და კომკავშირელი.

ჩვენი მეცხოველეობის წინაშე მხოლოდ ახლა გაიხსნა ძლევამოსილი გზა. მარცვლეული პრობლემის ძირითადად გადაჭრა, კოლმეურნეობათა გამტკიცება, საბჭოთა მეურნეობების ზრდა, რომელმაც შეუქმნა ღონისძიება გაუყრიან მეცხოველეობის განვითარებას. გაუჯობესებული და გაიშვიათ ცხოველთა, ბოლოს, ის, რომ ახლა სახელმწიფოს შესწევს ძალა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენში დაგროვდა საკმაო ძალები იმისათვის, რომ მეცხოველეობამ შეძლოს გაგანტური წინსვლა.

ამისათვის საჭიროა საქმის სხვანაირი ორგანიზაცია, ვიდრე ისეთი როგორიც დღეს იყო. არა დაქსაქსული ღონისძიებანი, არამედ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა—ასეთია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება. თესვის ხან—მწიფო გეგმის მაგალითის მიხედვით. ასეთივე სახელმწიფო გეგმა გამოყენებული იქნება მეცხოველეობაშიც. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აწესებს პირუტყვის სულადობის ზრდის, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნულ მეურნეების მიერ ახალგაზრდა პირუტყვის გამოზრდის გეგმას, განსაზღვრავს საკვების წყაროების გეგმას და დაუყავს ეს გეგმები საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლმეურნეობებამდე და სასოფლო საბჭოებამდე.

„მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულება, — ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში, — უნდა მოექცეს ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის უურადღების ცენტრში და გადაიქცეს მეცხოველეობის განვითარების ამოცანების გარშემო საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მობილიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებად“.

დაბეშავება მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების თავისებურებებს, — ეს ისეთი საქმეა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და კეთილ სინდისიერებას. ამხ. მოლოტოვი თავის წერილში დროზე გვაფრთხილებს, თუ რა პასუხისმგებლობა გვაწევს ამ მუშაობაში და რა საშიშია ტრაბახობა და პროექტორობა.

რა წარმოადგენს მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის ძირითად რგოლს? საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მწენებლობა. დამტკიცებულია ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის დადგენილებით, რომ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებს და საბჭოთა მეურნეობებს მოეპოვებათ უველაფერი, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ უმოკლეს ვადაში აყვირთ და გავაუმჯობესოთ მეცხოველეობა ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა საფუძველზე. საერთო უფრო ფართოდ გავშალოთ საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მშენებლობა და მივაღწიოთ იმას, რომ არ დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, რომელსაც არ ექნეს სასაქონლო ფერმა.

საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმები, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, წარმოადგენენ სოციალისტური მეცხოველეობის ძირითად ფორმას. ფერმების განვითარება, ისე როგორც მთელი კოლექტიური მეურნეობის განვითარებაშიც, მოცემულია კოლმეურნეობის განმტკიცების და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების წყარო. კოლმეურნის კეთილდღეობა დამოკიდებულია კოლმეურნეობის კეთილდღეობაზე. შეძლებული ცხოვრების პერსპექტივა გაუბურებელია საკოლმეურნეო განსაზოგადოებული მეურნეობის განმტკიცებასთან, გაფართოებასთან და მისი საქონლიანობის გადიდებასთან. ამაში მდგომარეობდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციის დევიზიც, ეს სავსებით გაამართლა ცხოვრებამ და კოლმეურნეთა მილიონების ბედ-იღბალი პირდაპირ დამოკიდებული კოლექტიური მეურნეობის ბედ-იღბალზე.

სწორედ კოლმეურნეობათა განმტკიცებამ, სასაქონლო ფერმების ზრდამ საშუალება მისცეს სახელმწიფოს ასეთი ფართო დახმარება გაეწიათ უძროხო კოლმეურნეობისათვის. უახლოეს ორ წელიწადში ჩვენ მივალწევთ უძროხობის ლიკვიდაციას; თვითეულ კოლმეურნეს თავის დამხმარე მეურნეობაში ეყოლება ძროხა. და უძროხობის უსწრაფესი ლიკვიდაცია უაღრესად საინტერესო საშუალება იქნება ს. კოლმეურნეო სასაქონლო ფერმების მშენებლობა თვითეულ კოლმეურნეობაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ძალღონე უნდა იხმარონ, რომ კოლმეურნეება შეიგნონ საკოლმეურნეო ფერმების მთელი სარგებლიანობა, დააფასონ ის დახმარება, რომელსაც სახელმწიფო განიზრახავს გადმოსცეს მეცხოველეობას უწევს.

თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უკვე ახლა სერიოზულად უნდა მოჰკიდოს ხელი საკვები ბაზის საკითხებს, ბალახების თესლის შენარჩუნების, სათიბი მინდვრების და სძოვრების გაუჯობებების, ჯგუფიანი მწარმოებლების შერჩევის, ვეტერინალური და ზოოტექნიკური მომსახურების სამქმეს. დადგა უაღრესად კონკრეტული მუშაობის დრო, როცა პირუტყვის ადგილობრივი გაუჯობესებული ჯიშის, საკვების და სილოსის, სეპარატორის და კარაქსახდელის საკითხი უნდა იქცეს თვითეული ხელმძღვანელის, თვითეული კომუნისტის და უპარტიოს აქტივისტის ყურადღებას.

მეცხოველეობის აღმავლობა განუყრელად დაკავშირებულია საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ განმტკიცებასთან, გაფართოებასთან და მისი საქონლიანობის გადიდებასთან. ამაში მდგომარეობდა კოლმეურნეობათა ორგანიზაციის დევიზიც, ეს სავსებით გაამართლა ცხოვრებამ და კოლმეურნეთა მილიონების ბედ-იღბალი პირდაპირ დამოკიდებული კოლექტიური მეურნეობის ბედ-იღბალზე.

საკავშირო დეპეშა საგენტოს მიერ

ოფიციალურ წრეებში მიღებულ ცნობების თანახმად, ამხ. ლიტვინოვს არც მოსკოვში არც ვაშინგტონში არასოლეს არ წამოუყენებია არავითარი წინადადება ამერიკა — საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ (ადს).

ამერიკის შეერთ. შტატები და საბჭოთა კავშირი

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. ხერხტის საგარეთო ტრესტის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკამ უარყო წინადადება, რომელიც ამხ. ლიტვინოვმა წამოაყენა ამერიკის შეერთ. შტატების ელჩის (მოსკოვში) ბულიტის წინაშე ამერიკა - საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. კორესპონდენტის სიტყვით, ამერიკამ უარყო წინადადება არა იმიტომ, რომ მას სურს დატოვოს საშუალება ეომოს საბჭოთა კავშირს, არამედ იმიტომ, რომ ამ წინადადებასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხები. „ასეთი პაქტი, — წერს კორესპონდენტი, — ეწინააღმდეგება ამერიკის ტრადიციულ პოლიტიკას, რომელიც უარყოფს პოლიტიკურ კავშირებს უცხო სახელმწიფოებთან, და ამ პაქტს შეუძლია სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს ურთიერთობა ამერიკასა და იაპონიას შორის. შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა იაპონიამ შეიფასა, როგორც მის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი და მთავრობის მოლაპარაკებებმა გადასწყვიტეს, რომ საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადება გამოიწვევდა იაპონიაში უარყოფითად აისახელსაყრელ გამოხმაურებას“ (ადს).

***

საკავშირო დეპეშა საგენტოს მიერ ოფიციალურ წრეებში მიღებულ ცნობების თანახმად, ამხ. ლიტვინოვს არც მოსკოვში არც ვაშინგტონში არასოლეს არ წამოუყენებია არავითარი წინადადება ამერიკა — საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილება

გორის, ბარდის, კამარღუს, აგდაშის და ალი-ბაირამლის სამ.-საფრ. საღგურების სამეურნეო საქმიანობის შესახებ

ა.-კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, რომ გასულ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში გორის, ლენინაკანის, ბარდის და კამარლუს სამ.-სატრ. სადგურებმა საგრძნობლად უკეთესად, ვიდრე 1933 წელს, შეასრულეს თავისი საწარმოო გეგმები და მიაღწიეს დატვირთვის მაჩვენებელთა გადიდებას ტრაქტორების მუშაობის დროის მიხედვით, მაგრამ სამეურნეო საქმიანობა ამ სამ.-სატრ. სადგურებსაც კი, რომელნიც შედარებით სხვებზე უკეთესად მუშაობენ, კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

სამ.-სატრ. სადგურების 1934 წლის სამუშაოთა გეგმაში საკმაოდ არ არის გათვალისწინებული მათი საწარმოო სიმძლავრე. ასე, მაგ.: აგდაშის სამ.-სატრ. სადგურმა, რომელსაც თავისი საწარმოო სიმძლავრის მიხედვით შესაძლებლობა აქვს დაამუშაოს 31.300 ჰექტარი (მთელი ამ სამუშაოს ხვნაზე გადაყვანით), მიწსახკომისაგან მიიღო დავალება მხოლოდ 24.300 ჰექტარის როდენობით; ბარდის სამ.-სატრ. სადგურმა, რომელსაც აქვს საწარმოო სიმძლავრე 34.100 ჰექტარის დასამუშავებლად, მიიღო გეგმად 20.600 ჰექტარი. სამ.-სატრ. სადგურების დირექტორები და პოლიტგანყოფილებათა უფროსები, თუმცა მათ იციან, რომ სამ.-სატრ. სადგურები არასაკმაოდ დატვირთული, არ იბრძვიან სამ.-სატრ. სადგურების მთელი საწარმოო სიმძლავრის გამოყენებისათვის და პატაკობენ მათთვის აშკარად შემცირებული გეგმების გადაჭარბებით შესრულების წარმატებათა შესახებ.

სამ.-სატრ. სადგურის სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია სატრაქტორო პარკის მდგომარეობა. მაგრამ როგორც ამ სამ.-სატრ. სადგურებში, ისე ამიერ-კავკასიის სხვა სამ.-სატრ. სადგურების უმეტესობაში, ჯერ კიდევ ფრთხილად, მზრუნველობით და კულტურულად არ ეპყრობიან ტრაქტორებს. ტრაქტორების წინასწარი რემონტი თავისთავად არ წარმოებს. ტრაქტორები არ არიან უზრუნველყოფილი სათადარიგო ნაწილებით. მუშაობის პერიოდში ტრაქტორს ცუდად ეპყრობიან, თავისთავად არ წვენდენ, არ ზეთავენ, ტოვებენ მინდვრად ან სამ.-სატრ. სადგურის ეზოში ცის ქვეშ და სხვ. ტრაქტორთან ახეთი მოპყრობის შედეგად, მაგალითად, აგდაშის სამ.-სატრ. სადგურში, საგაზაფხულო თესვის შემდეგ, 75 ტრაქტორიდან 36 კვლავ შეიქნა კაპიტალურად შესაკეთებელი, ხოლო 17 ტრაქტორს ესაჭიროება საშუალო რემონტი.

სამ.-სატრ. სადგურების უმრავლესობა დღემდე ზარალით მუშაობს, ხოლო სამ.-სატრ. სადგურების დირექტორები და პოლიტგანყოფილებათა უფროსები ამას უდარდელად ეკიდებიან და არ ღებულობენ კონკრეტულ ზომებს იმისათვის, რომ თავისი სამ.-საც არ ექნეს ხასაქონლო ფერმა.

სამხანგლო-სატრაქტორო სადგურების არასრულ დატვირთვასთან ერთად, თვითღირებულების ზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საწვავი მასალის გადახარჯვას, რასაც ვხედებით სამხანგლო - სატრაქტორო სადგურების უმრავლესობაში, მიუხედავად პარტიის და მთავრობის მიერ არაერთხელ მოცემული დირექტივებისა. საწვავი მასალის ხარჯვის საკითხები დანაშაულებრივ დაუდევრობას იჩენენ. ასე, მაგალითად, ალი-ბაირამლის სამხანგლო - სატრაქტორო სადგურში 1934 წლის გეგმის ზევით დახარჯეს 100 ტონა საწვავი მასალა.

სამ.-სატრ. სადგურების უმრავლესობაში ფინანსიური საქმეები აწეწილია. სამ.-სატრ. სადგურების დირექტორები იმის მაგივრად, რომ დაადგინონ მტკიცე წესი სახსრების ხარჯვაში და უსახტკეცი ფინანსიური დისციპლინა შეიმაგრონ,—დაუდევრად ეპყრობიან სახსრების ხარჯვას და არ ზრუნავენ თვითეული სამ.-სატრ. სადგურის ნამდვილად გადაყვანისათვის სამეურნეო ანგარიშზე. ასე, მაგალითად, აგდაშის სამ.-სატრ. სადგურში, გარდა იმისა, რომ მას დიდი დავალიანება აქვს ხელფასის ზაზით და თავის სწარმოში ერთი გროშიც კი არ მოიპოვება, სადგურის ბუღალტერიის 1934 წლის 1 აპრილის მონაცემებით, სამ.-სატრ. სადგურის დავალიანება 128.000 მანეთამდე, ხოლო ბარდის სამ.-სატრ. სადგურში, რომელიც არა ნაკლებ მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაშია, სადებტორო დავალიანება შეადგენს 158 ათას მანეთს.

სამხანგლო - სატრაქტორო სადგურების ასეთი სამეურნეო მდგომარეობის დროს საგრძნობლად მცირდება მათი მთრგუნველებელი როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სამ.-სატრ. სადგურები თავის სამეურნეო - ფინანსიური საქმეების დაყენების მხრივ არ უწევნებენ მაგალითს ახლომახლო კოლმეურნეობებს და ხუსტად ახორციელებენ თავის ხელმძღვანელობას კოლმეურნეობათა მიმართ. გამოკვლეულ სამ.-სატრ. სადგურების უმრავლესობაში აღმოჩნდა, რომ სამ.-სატრ. სადგურების საწარმოო გეგმები ცუდად არის დაკავშირებული ცალკეულ კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებთან და ნამდვილ საწარმოო შესაძლებლობებთან. ძალიან ხშირად სამ.-სატრ. სადგურების ხელმძღვანელები, დადებენ რა ხელშეკრულებებს კოლმეურნეობებთან სახ.-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაზე, სრულიად არ სთვლიან თავისთვის სავალდებულოდ ამ ხელშეკრულებათა განუხრელად ეკ ქონისტანდარტებად შესრულებას კოლმეურნეობათა წინაშე. სამ.-სატრ. სადგურები განსაკუთრებით სუსტად მუშაობენ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის საკითხებზე.

სამხანგლო - სატრაქტორო სადგურების დახასიათებული პუნქტები (სახელოსნოები, გარაჟი, კანტორები, ტრაქტორისტების საცხოვრებელი) არ არის კეთილმოწყობილი, თავმინებებულია, სამ.-სატრ. სადგურთა ეზოები ჭუჭყიანია. ჯერჯერობით სამ.-სატრ. სადგურთა ძალიან ცოტა ხელმძღვანელებმა — დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა—გამოიჩინეს ინიციატივა, რომ სამ.-სატრ. სადგურების დასახლებული პუნქტები გადაექციათ სანიმუშო კულტურულ პუნქტებად (გამწვანება, ეზოების მოკირწყვლა, ტროტუარების დაგება, ნაგებობათა შეღებვა, მინების ჩასმა, სისუფთავის დაცვა და სხვ.). ამასთან დაკავშირებით, სამ.-სატრ. სადგურთა უმრავლესობის მუშაკთა კულტურულ საყოფაცხოვრებო პირობები კვლავ არადამაკმაყოფილებელია (ცხოვრობენ კუშეტში, ვიწროდ, კვება ცუდადაა დაყენებული და სხვ.).

ბრიგადირი და ტრაქტორისტი სამ.-სატრ. სადგურის უმნიშვნელოვანესი კადრებია. მიუხედავად ამისა, სამ.-სატრ. სადგურების უმრავლესობაში ვერ ვხედავთ ნამდვილ ზრუნვას ბრიგადირზე და ტრაქტორისტზე, ცუდათაა მოგვარებული მათი მომსახურება და არასაკმაოდაა გამტკიცებული ბრიგადირის, როგორც სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელის როლი.

ასეთ სამარცხვინო მდგომარეობას ა.-კ. ს.ს.რესპუბლიკის მთელ რიგ სამ.-სატრ. სადგურებში შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ სამ.-სატრ. სადგურების დირექტორები და პოლიტგანყოფილებათა უფროსები ვერ იჩენენ საკმაო ინიციატივას, თვითმოქმედებას და სიმტკიცეს სამ.-სატრ. სადგურთა ხელმძღვანელობაში ხშირად უდარდელად და უყურადღებოდ ეპყრობიან მთელი რიგ ამკარა ნაკლოვანებებს სამ.-სატრ. სადგურების მუშაობაში, ხოლო პარტიის რაიონული კომიტეტები და აღმასკომები, თუმცა ისინი ზოგჯერ ამჩნევენ ამ დეფექტებს სამ.-სატრ. სადგურების მუშაობაში, მაგრამ განზე დგანან და არ ზრუნავენ მათ რაიონებში, არსებულ სამ.-სატრ. სადგურების სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობისათვის.

ა.-კ. მიწსახკომს და რესპუბლიკათა მიწსახკომებს ტრაქტორცენტრების ლიკვიდაციის შემდეგ არა თუ არ გაუძლიერებიათ თავისი ხელმძღვანელობა სამ.-სატრ. სადგურების მუშაობისა, არამედ ცალკეულ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მიმართ შეპასუხეს კიდეც ხელმძღვანელობა.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ადგენს:

1) დაევალოს რესპუბლიკათა მიწსახკომებს რაიკომებს და რაიაღასკომებს, სამ.-სატრ. სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს ნამდვილად მოჰკიდონ ხელი ამიერ-კავკასიის სამ.-სატრ. სადგურების მეურნეობის სანიმუშო წესრიგში მოყვანას.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტი სთვლის, რომ უკვე 1934 წლის ამიერ - კავკასიის სამ.-სატრ. სადგურები, თავის სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების საფუძველზე, უნდა გადაიქცენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ, რენტაბელურ და კულტურულად მოწყობილ სასოფლო - სამეურნეო საწარმოებად. ამისთვის საჭიროა, რომ თვითეული სამ.-სატრ. სადგური დატვირთული იყოს მუშაობით მთელი თავისი საწარმოო სიმძლავრის მიხედვით; რომ სამ.-სატრ. სადგურში უაღრესად ფრთხილად, მზრუნველობით და ყურადღებით მოეპყრან ტრაქტორს და დაუყონებლივ შეუდგეს საწვავი მასალის გადახარჯვის პრაქტიკა. დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა დაუნდობით უნდა მოჰკიდონ ხელი სამ.-სატრ. სადგურების ფინანსიურ საქმეებს, მოიყვანონ ისინი წესრიგში, დაწმინდონ, მეურნეობრივად ხარჯონ სამ.-სატრ. სადგურების სახსრები და ეცადონ, რომ სამ.-სატრ. სადგურში მთლიანად შემოვიდეს ყველა მისი საშემოსავლო წყარო.

2) აღნიშნავს რა, რომ ალიბაირამლის, ლენინაკანის, გორის, კამარლუს, აგდაშის და ბარდის სამ.-სატრ. სადგურების ხელმძღვანელებს მოეპოვებოდათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ეჩვენებინათ სამ.-სატრ. სადგურების სამეურნეო საქმიანობის უკეთესი მაგალითები და რომ ამ სამ.-სატრ. სადგურების მუშაობაში არსებული უდიდესი დეფექტები წარმოადგენენ მათი ხელმძღვანელების უპასუხისგებლობის პირდაპირ შედეგს,—ა.-კ. სამხარეო კომიტეტი საჭიროდ სთვლის:

ალი ბაირამლის სამ.-სატრ. სადგურის ყოფ. დირექტორის—**აბასკულის** საქმე გადაეცეს პარტკოლეგიას და პროკურორს მისი სახამართლო და პარტიულ პასუხისგებაში მისაცემად უკანონობისა და საწვავი მასალის დაზედაგული გადახარჯვისათვის; ამავე პარტიულ პასუხისგებაში მისაცემად **ბაირამოვის** სამ.-სატრ. სადგურის, მისი სახამართლო და პარტიულ პასუხისგებაში მისაცემად უკანონობისა და საწვავი მასალის დაზედაგული გადახარჯვისათვის; ამავე პარტიულ პასუხისგებაში მისაცემად **ბაირამოვის** სამ.-სატრ. სადგურის, მისი ტრაქტორების, სახ.-სამეურნეო მანქანების და ინვენტარის საწარმოო სიმძლავრე და უფრო მეტად იქნას მოცული მექანიზაციით, გარდა ხვნისა. სხვა სასოფლო - სამეურნეო, განსაკუთრებით მოსავლის აღება, გალეწვა და საშემოდგომო თესვა.

დაევალოს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და სახკომსაბჭოს ორი დეკადის ვადაში დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი დასავლეთ საქართველოში სამ.-სატრ. სადგურების სატრაქტორო პარკის და აღმოსავლეთ საქართველოში პატარ-პატარა სამ.-სატრ. სადგურების დატვირთვის გასაღიდებლად.

ამავე დროს დაევალოს რესპუბლიკათა მიწსახკომებს ამავე ვადაში მოახდინონ ყველა ტრაქტორის, სახ.-სამ. მანქანის, ინვენტარის და სათადარიგო ნაწილის ინვენტარიზაცია და გადასინჯვა მათი ტექნიკური მდგომარეობის გამოკვეთის, საჭიროა რემონტის ჩატარების და საექსპლოატაციო უვარგისი ინვენტარის გადარიცხვის მიზნით. შემოწმდეს საექსპლოატაციოდ ამა თუ იმ ინვენტარის ვარგისიანობა მოცემული სამ.-სატრ. სადგურის კონკრეტულ პირობებში და დაისახოს ღონისძიებანი საჭირო ინვენტარის რეკონსტრუქციის და დამატებით შემოტანის, აგრეთვე მთელი ზედმეტი ინვენტარის, როგორც სამ.-სატრ. სადგურების მცდარი კაპიტალის, ლიკვიდაციის ხაზით დაევალოს რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს და ა.-კ. მიწსახკომს შეიმუშაონ რესპუბლიკათა მიწსახკომების მიერ ამ ღონისძიებათა გატარება.

5. აღნიშნავს რა მშენებლობის ნელი ტემპებით მიმდინარეობას სამხანგლო - სატრაქტორო სადგურებში, ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ავალებს რესპუბლიკათა მიწსახკომებს და სამხანგლო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს მიიღონ ზომები მშენებლობათა ტემპების გასაძლიერებლად. ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ავალებს რაიონულ ორგანიზაციებს სამხანგლო - სატრაქტორო სადგურების მშენებლობის ჩატარებაში, ამასთან უზრუნველყონ სამრო ადგილობრივი სამშენებლო მასალის გაცემა მშენებლობისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მინერალური სასუქის საწყობების და ნავთის ბაზების დაჩქარებულ მშენებლობას სამხანგ.-სატრ. სადგურებში. სამხანგ.-სატრ. სადგურების დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა: გადასინჯონ სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირთა შემადგენლობა, უარჩიონ ბრიგადირებად მტკიცე, უწარიანი მუშაკები, კერძოდ, აგრონომების ყოფილ მოწაფეთაგან; მოაწყონ აგრონქნეური სწავლება სამხანგლო-სატრაქტორო სადგურების ბრიგადირებთან იმ ანგარიშით, რომ 1935 წლის გაზაფხულისათვის თვითეული ბრიგადირი დაეუფლოს ცოდნას აგროტექნიკოსის დონემდე; თუ როგორ არის დაყენებული ტრაქტორისტთა და ბრიგადირთა სკოლების და კურსების მუშაობა და მიიღონ ზომები მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად; შემოიღონ ახალგაზრდა სპეციალისტების (ინჟენერ - მექანიკოსების აგრონომების) გაგზავნა სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში სტაჟის მისაღებად და დაიწინაურონ ისინი ბრიგადირთა თანამდებობებზე; ჩაატარონ ქალაქებში ძირეულ კვალიფიკაციურ სამეურნეო მუშაკებს შორის ისეთების შერჩევა, რომლებიც იცნობენ მოტორს და იცნობენ სოფლის მეურნეობას და გაგზავნონ ისინი ბრიგადირების სამუშაოზე.

დაევალოს სამხანქნო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს ორი თვის ვადაში მისცენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უველა ბრიგადირს საათობით. წინადადება მიეცეს რესპუბლიკათა მიწსახკომებს დაამუშაონ ინსტრუქციები ბრიგადირის მუშაობის და სატრაქტორო ბრიგადაში მუშაობის პირველად აღრიცხვის დაყენების შესახებ.

8. აღნიშნავს რა, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უმრავლესობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევს კოლმეურნეობებს და რომ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელები განსაკუთრებული უურადღებით ეკიდებიან შრომის სწორ ორგანიზაციას კოლმეურნეობებში, ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ავალებს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს მიიღონ ზომები, რათა გაძლიერებულ იქნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ხელმძღვანელობა იმ კოლმეურნეობებისადმი, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ ა.-კ. სამხარეო კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა ისახავდენ, პირველ რიგში, მოხიანად და კეთილსინდისიერად შეასრულონ ის ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულებით.

კოლმეურნეობათა მუშაობაზე თავისი ხელმძღვანელობის განხორციელების დროს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაკები გულდასმით უნდა ჩაწედნენ საკოლმეურნეო წარმოების დეტალებს და განსაკუთრებული უურადღება მიაქციონ კოლმეურნეობებში შრომის, მეურნეობის ორგანიზაციას, აღრიცხვის და ანგარიშგების დაყენებას. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაკები კოლმეურნეობებში გასვლის დროს უნდა ელაპარაკონ არა მარტო კოლმეურნეობათა თვამდგომარეებს, მოანგარიშეებს და კოლმეურნეობის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, არამედ აგრეთვე უნდა ესაუბრონ რიგითი დამკვრელ კოლმეურნეებს, უურადღებით და მზრუნველობით მოეპყრან მათ კრიტიკას კოლმეურნეო მეურნეობის ორგანიზაციის დეფექტების შესახებ, მათ წინადადებებს კოლმეურნეო წარმოების და თვით სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მუშაკები უნდა ჩასწედნენ კოლმეურნეო ბრიგადების შიგნით მუშაობის დაყენების წესრიგში, დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს. სწორად მოაწყონ შრომა, აღრიცხვა და ანგარიშგება თვითეულ კოლმეურნეო ბრიგადაში.

9. ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მოითხოვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებისა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებისაგან უმოკლეს ვადაში მიიღონ სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მუშაკთა კოლექტიურ - საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. დაუყოვნებლივ მოეწყოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების სასადილოები და საერთო საცხოვრებლები. თვითოდამწყობი გაფართოების და საკოთარ დამზარე მეურნ

ციტრუსები

გავაძლიეროთ მზრუნველობა თვითეულ ციტრუსოვან ნარგავზე

სოცშეჯიბრება ქაღალდს არ გასცილებია

(ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობა)

ლიმონ-მანდარინის ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობას მანდარინის ნარგავები გაშენებული აქვს 80 ჰექტარზე, სანერგე — 5000 კვ. მეტრზე და სხვა სუბტროპიკული კულტურები — 50 ჰექტარზე. დამატებით ასათვისებელია 248 ჰექტ. ფართობი.

მეურნეობის სანერგე აშკარად ვერ უცდელია. დაფნის, გლედიჩის და კრიპტომერიის კვლებს მორეული აქვთ საერველა ბალახები.

მეურნეობაში გაშლილი არ არის მასობრივი მუშაობა. მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები. მართალია, აქ დროზე დაამუშავეს ოჩხამურელ დაკვირვებათა მთავარეა, კიდეცაც გადაწყვიტეს სოცშეჯიბრება გამოეწვიათ მუშაკისტატეტს საბჭოთა მეურნეობა. ბაგრამ ეს სოცშეჯიბრება ქაღალდს არ გასცილებია. არც მეურნეობის ცალკე უბნებსა და ბრიგადებს შორის არის გაშლილი სოცშეჯიბრება, ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ცუდად მუშაობს მეურნეობის სანაბავრო ბაგა (გამგე დონაძის ქალია). ბაგაში გაზრდილ მხოლოდ 20 ბავშვს ღებულობს. დანარჩენი დედები იძულებული არიან უკანვე გაბრუნდნენ თავიანთი ბავშვებით. ასე „უწყობს“ ხელს საბავშვო ბაგა ქალთა შრომის გამოყენებას მეურნეობაში.

მეტად დიდია მუშების დენადობა. ამის მიზეზი ისაა, რომ მუშებს შორის არა წარმოებს მასობრივი მუშაობა. მოუგვარებელია საბინაო პირობები და სხვ.

მიუხედავად ამისა, მეურნეობაში არიან ცალკე ბრიგადები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ საწარმოო დავალებათა როგორც რიცხობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ასეთია, მაგ., ამხ. წულუკიძის ბრიგადა, რომელმაც მანდარინის ნარგავების შეწამლვა ვადამდე 9 დღით ადრე დაამთავრა. ასევე უნდა ითქვას პლანტაციების გათოხნაზეც.

მეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი ახობაძე) გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ყველა აქ აღნიშნულ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. უმოკლეს ხანში ცეცხლაურის მეურნეობა სანიმუშო უნდა გახდეს.

ამხ. სტალინის მიერ ციტრუსოვანთა მეურნეობების წინაშე დასმული ამოცანა — მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ჭვეყანას მ. ვცეთ არა ნაკლებ ნახევარი მილიარდი ცალი ციტრუსების ნაყოფი, მოითხოვს ციტრუსების თვითეული მეურნეობისადმი მტკიცე ხელმძღვანელობას, ციტრუსოვანთა თვითეული ნერგის უკეთ მოვლისათვის ბოლშევიკურ მზრუნველობას.

პ. კეკელია



ციტრუსების სანერგე ფოთში. ახლად დარგული ნერგების დაფარვა მზისაგან

ციტრუსების მოვლა-დამუშავებას მეტი ყურადღება

(საქ. მიწსახკომის „ციტრუსების მიხედვით)

ციტრუსოვანი ნარგავების მეორე თოხნა საქართველოში 1 ივლისათვის უნდა დამთავრებულიყო, ხუთი ივლისისათვის ფაქტიურად მეორე თოხნილი იყო ნარგავების მხოლოდ 61,6 პროც. ლიმანტარტყის მეურნეობებს გათოხნილი ჰქონდ. 84,3 პროც. დანარჩენ საბჭოთა მეურნეობებს და სხვა რაიონ. ციებს 38 პროც. ხოლო კოლმეურნეობებ. სა და ერთიპიროვნულ მეურნეობებს 66,1 პროც.

მეორე თოხნა დამთავრებული აქვთ ზუგდიდის, ლანჩხუთის და სენაკის რაიონების ყველა მეურნეობას. ოხ. ზეთში მეორედ გათოხნილია ცხ რაიონების მხოლოდ 12,6%, ფოთში—59,1 პროც. ოზურგეთში 55,3 პროც. და აჭარის ტყში 73,5 პროც.

ხობის რაიონს ციტრუსოვანი ნარგავების მეორედ გათოხნის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ გადმოუგზავნია.

დანაკმაყოფილებლად ვერც ნარგავების წამოღობა მიმდინარეობს. ივლისის პირველ ხუთდღიურში მეორედ შეწამლულ იქნა სულ პლანტაციების 8,1 პროც. (მეორე წამლობა აგვისტოს დამლევისათვის უნდა დამთავრდეს). ლიმანტრესტის მეურნეობებს ივლისის პირველ ხუთდღიურში შეწამლული აქვთ პლანტაციების 12,7 პროც. კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს 6.4 პროც.

აჭარისტანში მეორედ შეწამლულია ციტრუსოვანი პლანტაციების 0,9 პროც. ფოთში 1,9 პროც. ოზურგეთში —20,9 პროც. ლანჩხუთში 37,2 პროც. და სენაკში 61,7 პროც.

აფხაზეთის, ზუგდიდის და ხობის რაიონებს მეორე წამლობის შესახებ ცნობები არ გადმოუგზავნიათ.

არც ნაკელის თხლაფის ნიადაგში შეტანა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ივლისის პირველ ხუთდღიურში თხლაფის ნიადაგში შეტანის შესახებ ცნობები მხოლოდ ფოთის და ლანჩხუთის რაიონებიდან არის მიღებული. თხლაფის შეტანის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 15 პროც.

ამრიგად ციტრუსოვანი კულტურების სამეურნეოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილები ამ სამეურნეოთა შესახებ ცნობებს დიდი დაგვიანებით აგზავნიან რაიონების მეტ ნაწილს ეს ცნობები 20—25 ივნისის აქეთ ალარ გადმოუგზავნიათ, რაც დიდად აძნელებს ამ სამეურნეოთა ხელმძღვანელობას.



თამბაქოს პლანტაციის კულტივაცია (ლაგოდეხი)

ციტრუსოვან სანერგეს ცუდად უვლიან

(ქობულეთი, საქ. კორეს.)

ლიმონ-მანდარინის კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ჩხეიძე) სანერგემ უნდა უზრუნველყოს ჩვენი საბჭოთა მეურნეობები ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის მაღალხარისხოვანი სანერგე მასალით.

სანერგეში გარდა ადგილობრივი ჯიშებისა, წელს დამყნილია უცხოეთიდან შემოტანილი სანამყენე კვირტებით რამდენიმე ათეული ათასი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი. ნამყენი კარგად ხარობს. სანერგემ უკვე დაიწყო ნერგების ქოთნებში გადარგვა და გარეთ გამოტანა. ამ მუშაობას ხელს უშლის ქოთნების ნაკლებობა.

სანერგეს სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც აქვს. ასე, მაგ., სანერგე მტკიცედ არ იცავს კარანტინს. სამუშაო იარაღები თავისუფლად გადაადგილდება მახლობლად არსებულ მანდარინის პლანტაციაში და ასევე თავისუფლად შემოაქვთ უკანვე. ეს დიდ საფრთხეს უქმნის სანერგეს სხვადასხვა დაავადებათა გავრცელების მხრივ. სანერგეს ფართობი დღემდის კიდევ არ არის შემოკავებული.

სანერგეს მუშებს შორის მოუწესრიგებელია შრომის დისციპლინა. უნაყოფოდ იფლანგება სამუშაო დრო. სამუშაო საათებში ზოგიერთი მუშა ჩრდილში წოლასა და ერთმანეთთან ლაზღანდარობაში ატარებს დროს. ამას კარგად ხედავენ აგრონტექნიკოსები, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

ხსენებულ სანერგესთან ჩამოყალიბებულია ციტრუსოვანთა მყნობელების მოსამზადებელი კურსები. (ხელმძღვანელი ქარიცაძე). კურსებზე, სადაც სწავლობს სხვადასხვა სოფლებიდან და მეურნეობებიდან მოწვეული 37 ახლგაზრდა, მეცადინეობა არ სწარმოებს ნორმალურად ხან დილის 9 საათზე იწყება, ხან 10 და 11 საათზე. თეორიული სწავლება არ უკავშირდება პრაქტიკას. კურსანტები მეტ ხანს უსაქმოდ არიან.

მოუწესრიგებელია კურსანტების საყოფაცხოვრებო პირობები. ცხოვრობენ შვიდწლედის იატაკჩამტვრეულ ოთახში. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ძლიერ შეფერხდება მყნობელთა კადრების დროზე და შესაფერისად მომზადება.

კვირიკეს საბჭოთა მეურნეობას დირექციამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები ამ ნაკლოვანებათა უახლოეს დღეებშივე გამოსასწორებლად.

ძვირფასი ნერგები უკეთეს მოვლას საჭიროებენ.

იმუშავეთ ისე, როგორც მე-6 დისტანცია

და გექნებათ ჯანსაღი ლიანდაგი

გაუსწორდით მოწინავე დამკვრელებ-ქუჩისაშვილსა და ქოქიკაშვილს

ა.-კ. რკ. გზის მე-6 სალიანდაგო დისტანცია საკავშირო სახკომსაბჭოს და ც. კ-ის 3 ივლისის დადგენილების წლის თავს გეგმების შესრულების მაღალი ხარისხობრივი და რაცხობრივი მაჩვენებლებით შეხვდა.

გალასტის გამოცვლის ნაწილობრივი წლის გეგმა მან 122,8 პროც. შეასრულა, მიმდინარე წლის პირველი ნახევარში 16 ათასის ნაცვლად, 23, 452 შვალი გამოცვალა, რაც გეგმის 146,6 პროც. შეადგენს, ხოლო ცვალებადი განაწილების ნახევარი წლის გეგმა 153 პროც. შეასრულა, ხიდეგების განაძელების—187,3 პროც. ხიდეგების შენების — 109,2 პროც.; ხიდეგების კაპიტალური შეკეთების — 134,6 პროც.; კვეული ისრების ახალით შეცვლის 116,7 პროც. ლიანდაგის გეგმიანი შეკეთების გეგმა— 174,6 პროც. არის შესრულებული; ნახევარ - შპრეგების გამოცვლა — 200 პროც.

აღნიშნული მიღწევები მუშაობის ნამდვილად გარდაქმნამ და ქვედა რგოლებზე ხელმძღვანელობის განმტკიცებამ გამოიწვია.

პარტიის და მთავრობის დადგენილების ყოველდღიურმა შესწავლამ გაზაზდა მუშათა სამეურნეო ინიციატივა, განვითარდა დისციპლინა და გაჩაღდა ბრძოლა საკუთარი წრფოების ტექნიკის დაუფლებისათვის. წარმოიშვა ნამდვილი საქმიანი შეჯიბრება. სტალინური გაწვევის დამკვრელობის ნიშნისათვის ბრძოლაში ჩაებენ საუკეთესო ბრიგადირები ლიანდაგის დარაჯები, დურგლები, მღებავები, შემკეთებლები და სხვა. დამკვრელთა შორის გეგმის შესრულებაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან ზეინკალი ამხ. ჩიხლაძე, მღებავი ამხ. ადამოვი, დურგალი ამხ. კუჭავიშვილი, შემკეთებელი მუშები ამხ. ლ.ლიკაშვილი, ასლამაზაშვილი, ვეფხაძე. ლიანდაგის დარაჯები ჭოკოკაშვილი, ძ...იაშვილი და ბრიგადირი სახაშაძე. ესენი შრომის ნამდვილი გმირები არიან. დარაჯმა ყოფიკაშვილმა, მაგ. 7 ივნისს მატარებელი № 50 დამსხვრევას გადაარჩინა. იშვიათი თავგანწირულებისათვის იგი რკინისგზის უფროსმა ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვა და ბრძანებით მადლობა გამოუცხადა.

დარაჯი ქუმსიაშვილი — ძველი თავდადებული ლიანდაგის მუშაა. ის მარტო რიდი მუშაობს თავის პოსტზე. ის მუშაობს მთელი ოჯახით. **ცოლაშვილი ესპვრება ქუმსიაშვილს უბნის წესრიგში მოყვანა - დასუფთავებაზე, გოლტების მოპერაზე და სხვ.** თავისი საქმისადმი განსაკუთრებული მზრუნველობისა და ერთგულობისათვის და ლიანდაგის საუფთაო შენახვისათვის ამხ. ქუმსიაშვილი დისტანციის სამკუთხედმა დააჯილდოვა ერთი თვის ხელფასით, 150 მანეთის სამრეწველო პრემიტკტებით, შეკეთა მისი ბინა და დაუდგა მასში რადიო-მიმღები. ამხ. სახვაძემ გზის უფროსისაგან მიიღო პირადი მადლობა და ერთი თვის ხელფასი გულღიად იმისთვის, რომ **მან 25 ივნისს სამზეზვრო მატარებელი № 44 დამსხვრევას გადაარჩინა.**

დამკვრელთა წახალისებასთან ერთად დისტანციის სამკუთხედი აწარმოებს ზარმაცების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას. გზის ოსტატი ზაალიშვილი გაამეცვს ტრანსპორტიდან უბნის არანორმალური მდგომარეობაში ჩაგდებისათვის; ბრიგადირი კუჩინსკი, რომლის უმოქმედობით შეუსრულებელი დარჩა გეგმა ჩამოაყენეს დაბალ სამუშაოზე. ჩამოყენებული არიან აგრეთვე გრაკალის გზის ოსტატი ადოიანცი და ბრიგადირი ხორბალაძე დისტანციის უფროსის მითითების შეუსრულებლობისათვის. ასე ამტკიცებენ დისტანციაში შრომის დისციპლინას.

წუნის წინააღმდეგ სამეურნეო და პარტიულ ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა გაიჩაღეს. წუნის მკეთებლები გეჯაძე და აგაჯანოვი დაჯარიმებული არიან 300 მანეთით. ასეთი ზომების მიღებამ გამოიწვია შეკეთების ხარისხის გაუმჯობესება.

დისტანციის გამარჯვება პარტიულ ძალთა ცალკე რგოლებში სწორმა განაწილებამ უზრუნველყო. სუსტ უბნებზე მიმაგრებული არიან საუკეთესო პარტიული და კვალიფიციური ძალები. ასე, მაგალითად, მცხეთაში საოსტატოს უფროსად დაინიშნა ინჟ. ბუაჩიძე, დიდუბეში ამხ. ხალიტაშვილი. საუკეთესო დამკვრელი ხელოსანი ამხ. ძხოკვრელი (პარტიის წევრია) ლიანდაგის კილომეტრიდან გადაიროლეს გრაკალის საოსტატოში, ასეთივე დამკვრელი ამხ. თაბაშკაშვილი — გორის საოსტატოში და სხვ. სწორედ მათ საშუალებით გაიშალა ადგილებზე მუშაობა გეგმების მაღალი მაჩვენებლებისათვის და შეკეთების მაღალი ხარისხიანობისათვის.

ტექმინიმუმის პირველ ტურში გამოცდა კარგად ჩააბარა 126 კაცმა, ხოლო ტექნიკუმების მეორე ტურში ტექნრეების მეცადინეობა საუკეთესო შედეგს იძლევა.

დისტანციის ხელმძღვანელების (უფროსი—ამხ. გაჩეჩილაძე), მიერ მუშაობის გაანალიზებულად მიღებული ღონისძიებები ამით არ ამოიწურება. ახა დაგვისახლეთ რომელიმე წარმოება რკინისგზაზე, რომელიც მუშა-ხელის სიმცირეზე არ ჩიოდეს. ასეთია მხოლოდ მე-6 დისტანცია. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით მან შესძლო მუშა-ძალის შენარჩუნება და მუშათა შეგროვება ორგანიზებული წესით — კოლმეურნეობასთან და სასოფლო საბჭოსთან ხელშეკრულების დადების გზით. ასე მაგ., ზუნის სასოფლო საბჭომ დისტანციას ხელშეკრულებით მისცა 5 მუდმივი მუშა და ერთდროულად დაახმარა 150 კაცი. ამას გარდა, ვალდებულება აიღო მიმდინარე წელში კიდევ დაახმაროს 140 კაცი.

გლდანის სასოფლო საბჭო მიმდინარე წელს დისტანციას ერთდროულად 200 კაცს ახმარს. კახპის სასოფლო საბჭომ კახპის საოსტატოს მისცა 12 მუდმივი მუშა. სამაგიეროთ სოფლის საბჭოებიც დებულობენ დახმარებას დისტანციისაგან.

დიდი მუშაობა ჩაატარა ხელმძღვანელობამ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ტფილისის კვანძის მუშების მონაწილეობით მან მოაწყო შაბათობა და გამომუშავებული თანხა (8000) მანეთი მუშათა მომარაგებას მოახმარა. აქ ჯამაგირს მუშებს თავის დროზე ურიგებენ. ყოველი თვის 15 და 30 რიცხვებში გზაზე მიდის დრეზინით დისტანციის ხელმძღვანელი, რომელიც ხელზე ურიგებს მუშებს ხელფასს. დრეზინას მიყვება პატარა ვაგონი დატვირთული სურსათ-სანოვაგით და სამრეწველო საქონელით. ძლიერ ხელმისაწვდომ ფასებში. ასე მაგ., 1 კილო ხორცი ძღევა მუშას 4.5 მანეთად, მაქარი — 3 მანეთად და სხვ.

ამრიგად, **ხაზის მუშას სრული საშუალება აქვს ენერგიის დაუხარჯავად იაფფასებში შეიძინოს ხაჭირო პროდუქტი და სამრეწველო საქონელი. ეს ღონისძიება გადაიქცა ცხოველ პროკაგანდათ მუშა-ხელის შეგროვებისათვის. ახლო-მავლო სოფლებში დიდი ლტოლვაა რკ. გზისაკენ.**

მუშების კულტორული დასვენებისათვის დისტანციის სამკუთხედმა მცხეთაში გახსნა ბაღი, სადაც ყოველ დასვენების დღეს ისვენებენ მუშები.

დამკვრელებისათვის დისტანცია ტფილისში აშენებს 15 ბინიან სახლს, რისთვისაც გადადებულია ასიათასი მანეთი.

***

ტფილისიდან გორამდე გაშლილია სალიანდაგო სამუშაოები. იცვლება შპალები, ბალასტი, რელსები.

ლიანდაგის გასწვრივ ამართულია კრეოზოტით გაჟღენთილი ბოძები.

მე-6 დისტანციის კოლექტივი თავდადებულად იბრძვის ჯანსაღი ლიანდაგისთვის, რაც იგი სწევდა ამ ამოცანას ა.-კ. რკინისგზაზე, რომელიც ხელზე ურიგებს ამ ნაყოფიერი მუშაობის ბეჭედს.

მაშ, ვისწავლოთ მისგან, რა-გორ უნდა მუშაობდეს თვითეული დისტანცია!

მ. აროშიძე.

მე-6 დისტანციის სახელოვანი ადამიანები—ქუმსიაშვილი (მარცხნივ) და ქოქიკაშვილი (მარჯვნივ)

აზღოვდება გუმბრინის შავოს დამთავრება

მშენებლობის საქმენი და ადამიანები

ჩვენი ნავთის მრეწველობა მრავალი წლის განმავლობაში დამოკიდებული იყო ამერიკისაგან, საიდანაც მას შემოქონდა ფლორიდინი — განსაკუთრებული თიხა ნავთის პროდუქტების გასაწმენდად და გასამკვირვალებლად. ბოლოს, ქუთაისის რაიონში, სოფ. გაუმბრასთან, აღმოჩენილ იქნა მინერალი, რომელსაც შეუძლია გასწოროს ფლორიდინის მაგიერობა. ამ მინერალს თავისი ადგილმდებარეობის სახელის მიხედვით დაერქვა გუმბრინი. სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ჭ. ჭოღოშვილი, ზუსტად დაადგინა გუმბრინის მარაგი. ამ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ინჟ. ა. ჯ. ქუთათელაძე ამ საქმეში ადრიდანვე ჩაება და ბოლომდე მიიყვანა ეს საქმე.

ამ ექსპედიციის დასკვნის საფუძველზე ნავთის სამმართველომ გადაწყვიტა ფლორიდინის ნაცვლად გუმბრინის გამოყენება. ამ საქმის ორგანიზატორი გახდა ინჟ. ა. ჯ. ქუთათელაძე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო

ზარია ვოსტოკა

ხელმოწერის პირობები: ერთი თვით 1 მან. 50 კაპ., სამი თვით 4 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 9 მან., ერთი წლით 18 მან. ხელმოწერა მიიღება ყველა ფოსტაში, ტელეგრაფში და სოფლის საბჭოებში.

ოთხშაბათი, 10 ივლისი 1934 წ. № 158 (4014)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲠᲐᲛᲘᲒᲓᲐᲜᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ

(ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ᲛᲐᲡᲘᲐ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲠᲐᲛᲘᲒᲓᲐᲜᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲠᲝ

ԱՇԽԱՏԱՎՈՐ ԺՈՂՈՎՐԴԻ ՕՐԳԱՆ
Հրատարակվում է ամեն օր, բացի երկուշաբթի օրից
Խմբագրության և հրատարակչության հասցեն՝ Երևան, Աբովյան փող., 19
Հեռախոսներ՝ խմբագրության՝ 2-58-20, 2-58-21, 2-58-22, 2-58-23
Գինը 10 կոպեկ
Ինդեքս 70

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՐԴԿԱՅԻՆ ՀԱՎԱՔԱԳՈՒՅՆ ԺՈՂՈՎԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ՍՈՎԵՏԻ ՆԱԽԱԳԱՀ

Ընկեր Ա. Ի. ՓԻՓՈՅԱՆԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՆԱԽԱՐԱՐՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀ

Ընկեր Ա. Ա. ՀՈՎՀԱՆՆԻՍՅԱՆԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ՍՈՎԵՏԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ԿԱԶՄԻ ՔԱՐՏՈՒՂԱՐ

Ընկեր Ա. Ա. ՍԱՐԳՍՅԱՆԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ՍՈՎԵՏԻ ՆԱԽԱԳԱՀԻ ՏԵՂԱԿԱԼ

Ընկեր Ա. Ա. ՄԱՐՏԻՐՈ